

# მემატიონი

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 611 პარასკევი, ნოემბრის 2, 1923 წ.

ყოველწლიური გაზეთი

ზანი 500,000

გაზეთი „საბჭო“ ღირს

თარიღად 7.000.000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახანის ქუჩა, № 8

ტელეფონი 10-34.

განსვადების ღირს

1 გვ. 20 კაპ. ჩვენი ნომერი

15 თვე

სამხალხოვნობა

1 გვ. 1 მ.

საქ. მემატიონი სოც. ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს

პარტიულ ორგანიზაციების საზოგადოებრივ, რომ

ნომერის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.

## პარტიის მთავარი კომიტეტი

### განსვადების საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან.
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მიწვდის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადოებრივ კრებაზე.

ყოველი განსვადების ცენტრალური კლუბი ღირს 12 საათზე.

საქ. მემატიონი სოც. ფედერალისტთა პარტიის ზუგდიდის სამხარო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, ნომერის 4-ს სოფელ წალენჯიხაში (ზუგდიდის მხარე)

## ამხ. ვიქტორ სარიას

გარდაცვლების წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვილი.

## კოალიციის საფრთხე

შტრეკმანის პოლიტიკამ, რომელსაც მხარში უდგას სოციალ-დემოკრატია მუშათა ფართო მასების უკმაყოფილება უკიდურესობამდე აიყვანა. საქსონის წინააღმდეგ მიმართულმა ზომებმა სოციალ-დემოკრატის გაუტყნა ხელი და განადგურა მისი მნიშვნელობა, როგორც მუშათა პარტიის.

მემატიონი სოციალ-დემოკრატის ლიდერები ებერტი, ველსი და მიულერი ხედავენ, რომ მემატიონი ფრთხილად და შეუძლებელი ხდება ბოლომდე გაყოლა შტრეკმანის პოლიტიკასთან. არა თუ მემატიონი, არამედ ცენტრიც კი ერისპიანის მეთაურობით ოპორტიუნისტული იმეორება და ამ რიგად გერმანიის სოციალ-დემოკრატია იძულებულია ან საბოლოოდ გადაეცეს ბურჟუაზიას ავანტიურისტულ აქტებში მუშათა წინააღმდეგ, ან და კოალიციიდან გამოვიდეს.

როგორც დღეში გადმოვიცემ სოციალ-დემოკრატის ცეკას ორგანო არკვევს საკითხს—უნდა დარჩეს თუ არა სოციალ-დემოკრატია მინისტრები კაბინეტში. სოციალ-დემოკრატია იძულებული ხდება პროტესტით გამოვიდეს კაბინეტის თათბირზე საქსონის წინააღმდეგ მიმართული ზომების გამო. ყოველივე ეს შედეგია იმ გარემოების, რომ მუშათა ფართო მასა სცილდება სოციალ-დემოკრატის.

პარტია იძულებული ხდება უმნიშვნელო პროტესტებით მიანიც განაცხადოს რეაქციონერი ზომების წინააღმდეგ, რომ ამით შეინარჩუნოს მუშათა ნაწილი.

ეს მდგომარეობა კი კოალიციის დაშლის წინა დღეა, წითელი საქსონის დამარცხებით ერთი წუთითაც არ მტკიცდება კოალიციონერი კაბინეტის მდგომარეობა, მუშათა მდგომარეობა სოციალ-დემოკრატების პროტესტებით ამტკიცდება, ბავარიის

რის ფაშისტები კი ჯარს აგროვებს იმპერიული ძალა-უფლების დაპყრობისათვის.

ამ რიგად, კოალიცია ვულკანულად არის შეჩერებული. კოალიციონერი მთავრობისათვის სამოქალაქო ომის ეპიზოდები ყოველგვარ საფუძველს შლის. სოციალ-დემოკრატის შორდება მასა და კომუნისტური გაველეხა ძლიერდება.

გერმანიის მუშათა მოძრაობისათვის არ არის მზადი დღეები. ბრძოლა მეტად მძიმე, რთულადაა აღუტანელ პირობებში უხდება მას. სოციალ-დემოკრატია ხდება უდიდესი ხელის შემშლელი სუშათა მოძრაობაში, ამ პარტიაში ხდება ჯგუფური დანაწილება. პირველი ჯგუფი გერმანსა და დავიდის ხელმძღვანელობით სდგას კოალიციის დაცვის ნიადაგზე, მეორე ჯგუფი შეიძინა ხელმძღვანელობით მოითხოვს დამოუკიდებლობის საქსონის საკითხში და ენერგიულად გამოხატავს ბავარიის წინააღმდეგ, მესამე ჯგუფი კობისა და სიმონის გეგმდგანელობით ამ ორ პირველ ჯგუფთა შორის ქანაობს. მეოთხე ჯგუფი კრისპინის მეთაურობით მოითხოვს სოციალ-დემოკრატების გამოსვლას მთავრობიდან. მეხუთე ჯგუფი ლევისა, როზენფელდისა და დიტმანის ხელმძღვანელობით მოითხოვს კაბინეტის დატოვებას და კომპარტიასთან თანამშრომლობას.

ასეთი სურათია სოციალ-დემოკრატის ოჯახში. ეს სურათი სიციხადით აშკარაა ამ პარტიის წერილ-ბურჟუაზიულ პოლიტიკას, მერყეობას და გაურკვევლობას, ასეთი პარტია ვერცხად მუშათა კლასის ხელმძღვანელად პარტიის შემთხვევაში ვერ გამოდგება, გერმანიის პროლეტარიატმა კომპარტიის ხელმძღვანელობით უნდა გადათქვას ეს ცოცხალ-მკვდარი ლევი და მხოლოდ შემდეგ შეეძლება გერმანიის ხალხს რევოლუციონერი აღმშენებლობის დაწყება.

## შენიშვნები

### 4. აგრარული საკითხი, ჩვენი პარტია და კომუნისტები.

წინა წერილებში ჩვენ დავინახეთ, თუ პროგრამულ საკითხებში ჩვენსა და კომუნისტურ პარტიას შორის როგორი ერთსახეობა დამყარდა: ჩვენ ერთნაირად გვესმის თანამედროვე ეპოქის შინაარსი და ერთნაირი საშუალებით ვცდილობთ თავი დავაღწიოთ კაპიტალისტურ მეურნეობასა და შევიქმნათ კომუნისტური წესწყობილება. ამ წერილში მე მივინახე ერთ მეტად სერიოზულ საკითხზე შევიჩერო მკითხველს ყურადღებას.

წარსულში ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის უმთავრესად ორი ძირითადი პროგრამული საკითხი იწვევდა უთანხმოებას და დავას; ეს იყო: აგრარული საკითხი და ეროვნული პრობლემა. უკანასკნელს შემდგომი შევეხებით უფრო ვრცლად, აქ გვინდა ავღნიშნოთ ეს ენკლოპედია, რომელიც განიცდა ბოლშევიზმმა მიწის საკითხში და რომელმაც სასიკეთოდ დავადასტურა ჩვენ ერთმანეთთან.

ჩვენი აგრარული საკითხის გარშემო არ გამართულა ფართო დისკუსია პოლიტიკურ პარტიათა შორის; იმ სახით, როგორც ამას ითხოვდა საკითხის სირთულე. ეს კითხვა არ განხილავს დამე-

ჯდარი თეორიული და ლიტერატურული კვლევისა და კამათის საგანი. ეს საშუალო ფაქტია, რომელიც ღრმად მიანიც უნდა ავღნიშნოთ. აგრარული საკითხის კი მეტად დიდი და ფართო მნიშვნელობა აქვს სოციალური ცხოვრების ვითარებაში, მით უფრო ისეთს ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც არის საქართველო.

აგრარული საკითხი ორის მხრით არის საინტერესო: ერთის მხრით მიწის საკითხის მოწვევით გვამხმარებდა უნდა გააუმჯობესოს მთელი მეურნეობის პრობლემა და საწარმოო ძალთა განვითარების მთავარ ფაქტორად გადაიქცეს; მეორეს მხრით აგრარული საკითხის გადაჭრით უნდა დავიცვათ ის სოციალური კლასი და მისი ინტერესები, რომელიც სასოფლო მეურნეობის მთავარ ფუძეს წარმოადგენს.

ზემო აღნიშნულ კითხვების გაგებაში ჩვენ საკმაოდ გავსხვავდებით ბოლშევიკურ პარტიასა და წარსულში. სოფლის კაპიტალიზაცია და ბურჟუაზიული წესობის განმტკიცება სასოფლო მეურნეობაში, ბოლშევიკების აზრით, უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო და ფაქტურად ქმნიდა ნიადაგს სოციალისტური წესობისათვის. სა-

კითხისადმი ასეთი მიდგომით, ბოლშევიზმი იძულებული ხდებოდა სოფლის მწარმოებელი ელემენტის—შრომელი გლეხობის თანამედროვე ინტერესების დაცვაზე ხელი აეღო დაეცვა მისი მომავალი ინტერესები, რომელთაც იგი წარმოადგენდა მომავალ პროლეტარს. ასეთი დამოკიდებულება აგრარულ საკითხისადმი ლოლიკურად გამოვლინარებოდა იმ გზებისა და მეთოდების წამოყენებით, რომლითაც ბოლშევიზმი ცდილობდა სოციალური ცხოვრების გარდაქმნას წარსულში. გზა კაპიტალიზმის ამ შემთხვევაში გადასაჭრელ როლს თამაშობდა.

ჩვენი პროგრამა და პოლიტიკა ასეთს ვაგებინებდით ძირიდან განსხვავდებოდა. ჩვენი ვაგებით კაპიტალიზმი თავის თავად ვერ ქმნის პირობებს სოციალიზმის დასამყარებლად ის აქტიური ჩარევითა და ძალდატანებით უნდა მოსპოს რევოლუციონერული მშრომელთა ხალხმა.

1904—6 წლებში არ. ჯორჯაძე სწერდა: „ჩვენ დღესვე უნდა მოვაშალოთ საზოგადოებრივ წარმოების განხორციელებისათვის შესაფერისი ნიადაგი“ (იხ. მისი „როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საკმე“ გვ. 25, 1906 წ.) მაგრამ როგორი გზითა და საშუალებით არის შესაძლებელი კომუნისტებისათვის დღესვე შესაფერისი ნიადაგის მოშალება? რა გზას უნდა დავადგეთ სასოფლო მეურნეობაში? ამ კითხვაზე არ. ჯორჯაძე უპასუხებდა: „ჩვენ ვვსურს მივიღოთ ხალხთან და გამოვივარჯიშოთ მას დღესვე, როგორც მშრომელ, გაქვირებაში ჩავიდინო წვერილ მესაკუთრეს... ხოლო ჩვენი განზრახვა ის კი არ არის, რომ ამ ხალხს მესაკუთრეობის უფლებები განვუშალოთ, არამედ დავანახოთ ხევა უმალესი საზოგადოებრივ ფორმა წარმოებისა და მოვაშალოთ იგი კომუნისტურად, სახ. სამეურ. ხინდკატეხისა და დამხმარე საზოგადოებათა საშუალებებით კომუნისტურ წეს-წყობილებისათვის“ (იხ. „საქართველო“ № 10, 1904 წ.) იმავე წელს იგივე ჯორჯაძე სწერდა: „მიწის სოციალიზაცია, სოფელში კერძო საკუთრების გაუქმება და ჩაქრება სოციალურ რევოლუციის მოახლოებაზე“ და ჩვენს ხედავთ იგივე იმასაც მთელი წყობილების წინააღმდეგ მიტანილს შეტეხა ძალას მისცემს. თავს ის არის, რომ ხალხის ეკონომიური ცხოვრება ერთ მთელს წარმოადგენს. შეარყიეთ ამ ცხოვრების საფუძველი მეურნეობის ერთ ნაწილში და თქვენ დაინახავთ როგორ დაბრუნდება მთელი შენობა და როგორ იგრილებს დამაპყრობელი კლასი წყობილება“ (იხ. წინავე მიწის შესახებ—გვ. 44.) „ჩვენ ვვსურს, რომ მთელი მიწის ნაგლეჯი იმისი იყოს, ვინც თავისი ხარჯებით ამუშავებს მას, ვგვსურს, რომ მიწა ხარჯვალა კუთვნილებად გახდეს“ (იქ—16).

1904 წლის პარტიულ კონფერენციაზე არ. ჯორჯაძე თავის მოხსენებაში ამბობდა: „საქართველო“ იმ აზრის დამცველად გამოვიდა, რომ სოციალისტურ წარმოების დამყარებისათვის სოფლის პროლეტარიატის და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი აუცილებელი პირობის არ არის. რა გამოდგინა როგორც აქედან, რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ დებულებიდან? ის დასკვნა, რომ წარმოების განსაზოგადოებრივობას დღესვე შეიძლება დაუდგეს საფუძველი და ამიტომ უნდა მივეწვიოთ და გავითვალისწინოთ ის ეტაპები სოციალური ევოლუციისა და ის ფორმები სოციალურ წარმოებისა, რომელნიც ჩვენის აზრით, თანამედროვე კლასობრივ პრინციპებზე აშენებულ საზოგადოების დამრღვეველ ძალად უნდა შეიქმნენ“ (იხ. ქვეყის კონფერენციის ოქმები. 1904 წ.) შემდეგ: „მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალური რევოლუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხარეაღმ დამცველი“.

ამ გამოთქმულია სოციალისტ-ფედერალისტების აგრარული საკითხის მთელი კონტრ-ესენცია: 1) მიწის სოციალიზაცია დღესვე რეალურად იცავს მიწის მფლობელის ინტერესებს; 2) იგი ხდება სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი ფაქტორად და არღვევს კაპიტალისტური მეურნეობის საფუძველებს; 3) მისი განხორციელებით სუბიექტურად და ობიექტურად ნიადაგი ეყრება ახალ კომუნისტურ ურთიერთობას: ხალხის ფსიქიკაში, მის შემეცნებაში ღვივდება კოლექტიური შეგნება თვით საფურნეო ცხოვრებაში ფაქტურად მტკიცდება კოლექტიური ურთიერთობა, მატერიალური ძალთა განწყობილებაში შეურყეველი საფუძველები ეყრება მომავალ კომუნისტურ წესობისათვის.

აგრარული საკითხისადმი ასეთი მიდგომა და მისი ამ გვერდის სახით გაგება საფუძველად ედვა ჩვენი ჯგუფის არსებობის თავიდანვე. საქართველოს რეალური სინამდვილე და ეკონომიური ცხოვრების განვითარება პირდაპირ მოითხოვდა ჩვენგან მიწის სოციალიზაციის დაცვას. ეკონომიურად ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, ჩვენი მეურნეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს სოფლის ეკონომიკა, სა-

სოფლო მეურნეობა; თვით ქალაქაც ვერ შესძლო კაპიტალისტურს ქვამში მოხარჯვა საესეებით; ასეთს პირობებში სოფლის კაპიტალიზაციაზე ფიქტი უნდა ყოფილი იყო; სოფლის მეურნეობის გარდაქმნა კომუნისტურ წესობილებაზე შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ მიწის სოციალიზაციის გზით, და არა კერძო საკუთრების განმტკიცებით. მენშევიკებმა ჩვენში ყოველად მახინჯი ფორმებით გადასპურეს მიწის საკითხი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღებით.

ჩვენი ძველი ამბანაგები რამოდენადმე მოხიბლამ ცდამ და მთელ რიგ პარტიულ კონფერენციებზე ცდილობდნენ მიწის ნაციონალიზაცია ამოეშალათ პროგრამიდან. დღეს, ალბად, მრავალ ჩვენს ამბანაგს ახსოვს, თუ როგორი დიდი შრომა და ჯანჯანა სჭირდებოდა მემატიონს ფრთხილად პარტიულ პროგრამის ასეთი ოპორტიუნისტული გადასარჩენად. ფაქტურად ჩვენს ჯგუფს უნდა მიეწვიოს ის, რომ ჩვენმა ლიბერალურმა ვერ გააძევეს ნაბიჯის გადადგმა აღნიშნულის გზით.

და ასეთს ოპორტიუნისტურად ჩვენი ყოველი ამბანაგები სწორედ იმ პერიოდში მიწის სოციალიზაციის, როცა რუსეთის დიდი რევოლუცია ამ ლოზუნგების ქვეშ ჩატარდა, როცა იგი მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მორიგ ამოცანად გარდაიქცა და რეალური განაღდება პირველი რუსეთის სინამდვილეში.

მერე ვისი წყალობით ავიდა ამ სიმალღებე მიწის სოციალიზაციის პროგრამა? იმავე ბოლშევიკების, რომელნიც წარსულში უარყოფდნენ მას. კომუნისტურმა პარტიამ გამოსტაცა ხელიდან რევოლუციონერი გზით მიწის სოციალიზაციის პროგრამა წერილ-ბურჟუაზიულ ესტრეგებს და მის გარშემო შემოკრიბა მთელი მშრომელი გლეხობა.

ბევრს გონია, რომ ამით კომპარტიამ დიდად პრინციპიალური ხასიათის დამოშრა გადაიტანა. არსებითად ეს შემეცნება. წარსულში კომპარტია უარყოფდა სოციალიზაციის ტაქტიკურს მოხარჯებით, რადგან ის (პარტია) აყენებდა ბურჟუაზიული დემოკრატული რევოლუციის პროგრამას, უნდა დაეფიქსირებინათ კომპარტიის ერთ რამეში: ქალაქში ბურჟუაზიული წესობების განმტკიცებას და სოფელში კი სოციალიზაციის, ასეთ წინააღმდეგობას ვერ აიტანდა ეკონომიური ცხოვრების პირობები, ბოლოს და ბოლოს კაპიტალისტური ქალაქი შთანთქმავდა სოციალისტურს სოფელს.

დღეს პირობები შეიცვალა: კომპარტიამ მთელი კაპიტალიზმის დაძლევის პროგრამა წამოაყენა და სოციალისტური რევოლუციის ნიადაგზე სდგას ასეთს პირობებში, მიწის სოციალიზაცია გარდამაგალი პერიოდის ნაშთურად ფორმაციის ერთ-ერთი აუცილებელი სინამდვილე შეიქმნა. დღეს უკვე კაპიტალიზმის დეგრადაციის, დაშლისა და ლიბრის პერიოდში ვიმყოფებით; სოფლის მწარმოების გაუმჯობესება შეუძლებელი ხდება კაპიტალიზმის გზითა და მეთოდებით, სოფლის მეურნეობის სოციალისტურს ნიადაგზე მოწყობა, ეს არის მორიგი ამოცანა რევოლუციონერი მოძრაობისა. ასეთს პირობებში სოფლის კაპიტალიზაციაზე და გლეხის სოციალიზაციაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მეურნეობის სოციალიზაციაზე და გლეხის კომუნისტურ შეგნებამდე აყვანაზე და მისი პირდაპირი გზით სოციალისტურ წესობილებაში გადაყვანაზე.

კომუნისტების პროგრამაში სოფლისა და ქალაქის პროგრამა, გლეხისა და პროლეტარის ინტერესები ერთს მთლიან არსში შედუღდა და ერთს მთლიან ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა. კომპარტიამ წაიღო ჩვენი სოციალიზაცია და რეალურად განაღდა, თან წაიყვანა ჩვენი მშრომელი გლეხობა და ქალაქის პროლეტარიატს დაუმოხილა. კომპარტიის ხელმძღვანელობითა და მისი ენერგიული შრომით დღეს სოფლის გადატარებული მშრომელი გლეხობა და ქალაქის პროლეტარიატი იმდენად დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ის საერთაშორისო ბურჟუაზიის რისხვის მგვრელ არმიად გადაიქცა.

ასეთს პირობებში კომპარტიამ აგრარულ პროგრამასა და აგრარულ პოლიტიკას ჩვენ დღეს ვერაფერს ვერ დაუპირისპირებთ. წინააღმდეგ, რაც დღეს ხელში უჭირავს კომპარტიას, ის ჩვენს პროგრამასა და ჩვენს პოლიტიკას წარმოადგენს.

ჩვენში 1921 წლის გადატარების მეორე დღესვე იქმნა გამოცხადებული მიწის სოციალიზაციის პრინციპები ახალი ხელისუფლებისა. ფაქტურად ამ ლოზუნგის ქვეშ და მიწის განსაზოგადოების დროშით მოხდა გადატარება ჩვენში. ახალი ხელისუფლება თავის ცნობილ „დეკრეტს № 174-ში“ ამბობდა: „საქართველოს საბჭოთა მთავრობა მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ, მ.დ.ე. საფუძველზე: 1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის ხარით კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმევე გადაცემა ისაზიბა. (იხ.

„მითხარ-მოქმედების სახ. კომისარიატი 1921 წელს“ (გვ. 58). გვაქვს რამე ამ პროგრამის საწინააღმდეგო? სრულიად არაფერს. ეს ჩვენს პროგრამასა და ჩვენს აგრარულს პოლიტიკას შეიცავს.

ახეთს პარობებში რაღა დაგვრჩენია თუ არა ჩვენი პროგრამის გაყოლა უკან და დადგომა იმ რიგებში, სადაც ხდვას ჩვენი მშრომელი გლეხობა. ს. ს.

### ჩვენს პარობებში

(„ზაკროსტას ცნობები“ 1 ნომბრიდან“)

— საქსონიის პრემიერ-მინისტრად ლანდტაგმა აირჩია სოც-დემ. ფელიში.

— შტრეზმანი საქსონიის ამბებს აბრალებს გესლერს.

— შტრეზმანისა და ებერტის კონფლიქტი.

— გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ საქსონიის წინააღმდეგ ზომების მიღებას სოც-დემ. მინისტრებმაც მისცეს ხმა.

— ხენრიცში, ბატენში, ფრეიბერგში და მთელ სამრეწველო რაიონში საერთო გაფიცვაა

— ტიურინგიის საზღვარზედ თავს უყრიან ფაშისტურ რაზმებს.

— მემარჯვენე პრესა მოითხოვს კომუნისტების განდევნას ტიურინგიის მთავრობიდან.

— სოც-დემ. ბერლინის ორგანიზაციის რეზოლიუციები.

— გერმანიის სოც-დემ. პარტიაში იბრძვის 5 ჯგუფი.

— სოც-დემ. მინისტრები იმუქრებიან მთავრობიდან გამოსვლით.

— ბავარიის კონფლიქტი უახლოვდება დასასრულს.

— კარის ინსტრუქცია უანდარმერიისადმი.

— ნაციონალისტურ პარტიისა და გიტლერის ორგანიზაციების უთანხმოება.

— კარა-გიტლერ-ლ-უდენდორფის კავშირი მტკიცდება.

### გერმანიის აზვები.

საქსონიაში კომპარტიამ, სოც-დემოკრ. და პროფკავშირებმა მოუწოდეს მუშებს გამოაცხადონ შტრიკის საპროტესტო გაფიცვა. გაფიცვა არა გრძელდება რკინის გზებზე, ფოსტაზე და სურსათის მიწოდებაზედ მომუშავეებზედ. გაფიცვა უკვე დაიწყო ყველა დაწესებულებაში, ტრამვაი ჯერ ისევ მუშაობს. გაფიცვა გავრცელდა აგრძელებს ხენრიცსა, ცვიკუსსა და საქსონიის მთელ ნახშირბანი რაიონებზედ.

საიმპერიო კომისარმა საქსონიაში, გეინცემ ნიქსოგრედ მიმართა მოწოდებით, სადაც აღნიშნავს, რომ მისი მთავარი მიზანი არის „კონსტიტუციონალურ მთავრობის დაარსება პარლამენტარულ საფუძველზედ“.

„ფორვერტსის“ ცნობით, სოც-დემ. მინისტრებმა საიმპერიო კაბინეტის სხდომაზედ პროტესტი განაცხადეს საქსონიის მთავრობის განდევნის გამო.

საქსონიის ლანდტაგმა 46 ხმის უმრავლესობით 18 წინააღმდეგ პრემიერ-მინისტრად აირჩია სოც-დემ. ფელიში. პროტესტის ნიშნად ნაციონალისტებმა დასტოვეს სხდომა. კომუნისტები სასტიკი დეკლარაციით გამოვიდნენ სოც-დემ. ლანდტაგის გამო. 6 ნომბრისათვის შესდგება ახალი კაბინეტი, რომელშიაც ძველი მთავრობის წევრებიდან შეეღონ მემარჯვენე სოც-დემ. ლანდტაგის დანი და ახლად შევა მემარჯვენე სოც-დემ. ლიგინსკი. ცეიგნერი ახალ სიგეში შეტანილი არ არის. სოც-დემ. გადასწყვეტეს უარადღება არ მიაციონ, იმ გარემოებას, რომ ცეიგნერი არ სცნობს მთავრობის გადადგომას. ლანდტაგის შენობაში ჯარი პოლიციამ შეიჭრა, კომუნისტების ოთახს კი ისევ ჯარი იკავს. სამინისტროების დაჭერის, კომუნისტების მინისტრებმა უარი სთქვეს სამინისტროს თავის ნებით მიტოვებაზე. მეტყველი გამოიყვანეს ძალით.

საქსონიის ყოფილი მთავრობამ რესპუბლიკის პრეზიდენტს, საიმპერიო მთავრობა და რეისტაგს პროტესტი განუცხადა მის ჩამოსადგებად მიღებულ ძალადობის გამო. პროტესტში ხზვასმით არის აღნიშნული, რომ საქსონიის მთავრობა იძულებული იყო დაეთმო მის წინააღმდეგ მიღებულ სამხედრო ზომების გამო.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შტრეზმანმა აღნიშნა, რომ საქსონიის საწინააღმდეგო ზომების მიღების თაოსნობა ეკუთვნის გესლერს. სოც-დემ. მინისტრები, არამც თუ თანახმანი იყვნენ საქსონიის კომუნისტ-მინისტრების განდევნაზედ, არამედ წინააღმდეგობაც კი იძლეოდნენ, დაეჭუსაღებინათ ისინი. მთავრობამ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობა ტაქტიკურის მოსაზრებით უარჰყო. შტრეზმანმა იმედი გამოთქვა, რომ ბავარიის კონფლიქტი ერთ კვირაში მოგვარდება და განაცხადა, რომ ჯერჯერობით ნაადრევია სააღყო წესების მოხსნაზედ ფიქრი.

ბერლინის სოც-დემ. ორგანიზაციის პრეზიდენტმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მგომბს მთავრობის მოქმედებას საქსონიის წინააღმდეგ და მოითხოვს პარტიისა და პროფკავშირთა ცეკასაგან მთელი ძალისხმეის მომობისათვის რეპეტიციასთან საბრძოლველად.

„ფორვერტსი“ გამოაქვეყნა სოც-დემ. პარტიის პრეზიდენტის დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია; რომ შიმშილურ აჯანყებისა და დრეზდენის კომუნისტების პროკლამაციების შემდეგ შეუძლებელია კომუნისტების მინაწილეობა საქსონიის მთავრობაში. ამავე დროს დეკლარაცია ჰგომბს შტრეზმანის გამოსვლას და დატყვევებით ამტკიცებს, რომ ასეთი ზომების მიღება დაუშვებელია.

გესლერმა ხელმეორედ დახურა ერთი კვირით სოც-დემ. ორგანი „ბერლინერ ფოლგესციტუზი“, რომელმაც საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლა კონსტიტუციის დარღვევად ჩასთავალა.

ორშაბათს, საღამოს სხდომაზედ კაბინეტში სოც-დემ. წინააღმდეგნი იყვნენ გეინცესა და მიუ-

ლტრის მოქმედებისა საქსონიაში. „ფორვერტსის“ სიტყვით მდგომარეობას ამწვევებს აგრეთვე შტრეზმანისა და ებერტის კონფლიქტი, რომელიც მოპყვა შემდეგ გარემოებას: ებერტმა საქსონიაში კომისიის დანიშვნას ხელი მოაწერა იმ პირობით, რომ, ეს ბრძანება ცხოვრებაში გატარებამდე განხილული იქნება კაბინეტისა და ფრაქციითა ლიდერების მიერ. შტრეზმანმა კი ბრძანება სისრულეში მოიყვანა პირობის შესრულებლად.

„ფორვერტსი“ იწუნებს მთავრობის მოქმედებას საქსონიის მიმართ და შტრეზმანს ამტყუნებს პირობების დარღვევაში, შტრეზმანის გაზეთი „ცეიტუნი“ სცილობს საქსონიის მთავრობის გარეკის პასუხისმგებლობა გეინცეს დაკისროს. გაზეთი ამტკიცებს, რომ ცეინგემ დაუკითხავად გასცა განკარგულება მთავრობის დაშლის შესახებ. გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ სოც-დემ. მინისტრებმაც მისცეს ხმა საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლას და აფრთხილებენ უკანასკნელებს, იმ შედეგებისაგან, რომელიც მოპყვება მათს გამოსვლას მთავრობიდან.

ხენრიცსა, ბაუტენს, ფრეიბერგსა და მთელ სამრეწველო რაიონში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. ტიურინგიის საზღვარზედ გრძელდება არა ლეგალურ ფაშისტურ რაზმების შეროვება. კომუნისტში თავმოყრილია ერხარდის დივიზია არტლერიითა და ტყვიის მფრქვევლებით. საომარი ფაშისტური ორგანიზაცია „საიმპერიო ბაიროლი“ დაბანაკდა კრონახში. ფაშისტური მანევრების გამო საზღვრეთ ტიურინგიაში მდღევარებაა.

გერმანიის მემარჯვენე პრესამ დაიწყო ტიურინგიის მუშათა მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია და მოითხოვს იქიდან კომუნისტების დაუყოვნებლივ განდევნას. შიმშილურ აჯანყების გამო საიმპერიო მიცემულია 300 ზე მეტი კაცი. შესაძლებელია სიკვდილის განაჩენიც. კომუნისტების ტოლმანისა და რუბანის დაპატიმრების ცნობები არ მართლდება.

სოც-დემ. პარტიის ბერლინის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშათა კონფერენციამ დიდი აყალმაყალი ჩაიარა. საქსონიისა და ფრეიბერგში რეისსერის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კიუნსტერმა, რომელმაც გამოაქვეყნა მთავრობის მიერ რეისსერის ფინანსური დახმარების აღმოჩენის ცნობები და მოითხოვა სოც-დემ. მინისტრების გამოსვლა მთავრობიდან. ებერტის პოლიტიკისა და „ფორვერტსის“ სასტიკი კრიტიკით გამოვიდა მატელა ვერმი, რომელმაც განაცხადა, რომ მიუხედავად კომუნისტების შემცდარი ტაქტიკისა, არ შეიძლება უარსყუდა იმისა, რომ სოც-დემ. მემარჯვენე ფრთის პოლიტიკა მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული, ხოლო მემარჯვენე ელემენტების მოქმედება მის სასარგებლოდ.

შტეინმა აღნიშნა საშრობობა ბავარიის მხრით და განაცხადა: „სოც-დემ. გზა-ჯვარდინზე სდგას. იგი არ უნდა დაიღუპოს შერცხენილი, ან არა და იბრძოდეს ბოლომდის და დაიცვას მუშათა კლასის ღირსება“.

მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია ჰგომბს საიმპერიო მთავრობის მოქმედებას, და მოითხოვს ენერგიულ ზომებს ბავარიის წინააღმდეგ, სოც-დემ. გამოსვლას მთავრობიდან და რეპეტიციის საწინააღმდეგო ბრძოლისა და გენერალურ გაფიცვის მომზადებას.

მეორე რეზოლიუციაში კონფერენცია მოითხოვს ებერტის გამორიცხვას პარტიიდან. გერმანიის სოც-დემ. პარტიაში იბრძვის 5 ჯგუფი.

პირველი. გეინცის და დავიდის მეთაურობით იცავს დიდი კოალიციის შენარჩუნებას.

მეორე. შეიღებინოს მუშათა მოთხოვნების დათმობას საქსონიის საწინააღმდეგო მოქმედებას ბავარიის წინააღმდეგ, მესამე, კონსა და სონონს სეოპოლიტიკის კემა პირველ ორ ჯგუფს შორის.

მეოთხე, კრისპინის მეთაურობით, თხოვლობს სოც-დემ. გამოსვლას მთავრობიდან, რეისსტაგის დათხოვნას და ახალი არჩევნების მოხდენას.

მეხუთე, ლვეისა, როზენფელდისა და დეტრაინის მეთაურობით, მოითხოვს მთავრობიდან გამოსვლას და კომპარტიასთან თანამშრომლობას.

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ გამოურკვეველია. საერთო განწყობილება ემსობა მთავრობიდან გამოსვლას.

საიმპერიო მთავრობის სოც-დემ. მინისტრებმა რეისსტაგის სოც-დემ. ფრაქციის პრეზიდენტს განუცხადეს, რომ განზრახული აქვთ მთავრობიდან გამოსვლა. სოც-დემ. მოითხოვენ მთავრობაში შესაფერ მდგომარეობის მინიჭებას, ბავარიის წინააღმდეგ ენერგიულ ზომების მიღებას და სამხედრო-სააღყო წესების სამოქალაქო სააღყო წესებით შეცვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან მთავრობიდან გამოსვლით. საკითხი გადასწყდება საპარლამენტო ფრაქციით.

ხელფასის ოქროს ვალიუტით მიცემის ხმები არ მართლდება პროფკავშირების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ხელფასი მტკიცე ვალიუტით მიიცი მისცენ. შეთანხმება ჯერ არ მოხდარა.

საიმპერიო მთავრობამ რეისის ოლქის მოხელეებს უბრძანა, არ ასრულონ რეისის მთავრობის ბრძანებები, რეისის მთავრობა მოხელეებს იმუქრება გადასახლებით, თუ საბოტაჟს გაუწევენ. ბავარიის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ იგი შტრეზმანის ნოტზედ პასუხის გაცემას აპირებს, საიმპერიო მთავრობისა და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების დამოკიდებულების პრინციპიალურად გათმუვებით შემდეგ. გერმანიის წინააღმდეგ საქმეთა მინისტრმა ზოლმანმა კი განაცხადა, რომ ბავარია, უფრო საფრთხიელია, შესწყვეტოს ბერლინთან კავშირს. ზოლმანმა სთქვა: „ჩვენი მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავარიის კონტრ-რევოლუციური შეტევას დაიწყებს დანარჩენ გერმანიებზედ“.

ბავარია-საქსონია-ტიურინგიის საზღვრებზედ მყოფი ბავარიის თანდარმირების ნაწილებმა კარასა-გან მიიღეს საიდუმლო ინსტრუქცია, რომლითაც მათ ევალებათ წინასწარი ზომების მიღება, სოც-დემ. და კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვის გამორკვევა, სოც-დემ. და კომუნისტურ ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკების თვალყურის დევნება. კარი წინააღმდეგ აძლევს თანდარმირი ფაშისტებთან კავშირი დაიკვირო.

გიტლერის ორგანიზაციებსა და ნაციონალისტურ პარტიის შორის სერიოზული უთანხმოებამ თუ როგორი უნდა ტაქტიკა ძალა უფლების მემარჯვენეთა ხელში გადასვლის შემდეგ. ნაციონალისტური პარტია წინააღმდეგ აძლევს შეიქმნას სამწევრიანი დირექტორია, რომელშიაც შევლენ აგრარიერების წარმომადგენლები—ბარონი ვაილიშპენი და სტინესის წარმომადგენელი დირექტორი—მიხი. ავი პარტია მომხრეა სექტან თანამშრომლობის გიტლერის ორგანიზაციებს კი ასეთი დირექტორ არ მიანიათ საქმარისად „ნაციონალისტურად“ და წინააღმდეგნი არიან სექტან თანამშრომლობისა.

ს. ს. რ. კ. და უცხოეთი. მოსკოვი. ბოლშევიკების მიმართულ ნოტაში, ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა კომისარია აღნიშნავს რა ყოფილ ვრანგელის არმიის ჯარის კა-

### 1919 წლის ღირსეულობა

### უენიშვნები.

დემოკრატიაში და სოციალიზმი (დასასრული)

რას გულისხმობს დემოკრატიაში? დემოკრატიაში მისი შინაარსის მისს პოლიტიკურს იდეალებში ეძებენ. მართლაც დემოკრატიაში გულისხმობს სუვერენულ უფლებებზედ სახელმწიფოს, სადაც ყოველი მოქალაქე მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა ერთგვარი თანასწორი უფლებითა და მოვალეობით არის თითქმის აღჭურვილი. მაგრამ როცა დემოკრატია დემოკრატია სახელმწიფოს სოციალისტურ წყობილების შინაარსს გავითვალისწინებთ, სულ სხვა სურათს დაგინახავთ. ეკონომიური შინაარსის დემოკრატული წყობილების ანტი-კოლექტიურ წარმოებაში მდგომარეობს: დემოკრატიაში სრულებით არა სპობს კაპიტალსა და შრომის შორის არსებულს წინააღმდეგობას, არ უარყოფს პროლეტარიატის ეკონომიურ დამოკიდებულებას ბურჟუაზიაზე, ე. ი. არ ანადგურებს კაპიტალისტური სისტემის ბატონობას. ასეთია უარყოფითი დახასიათება დემოკრატიაში; მისი არსებითი შინაარსი ნემოდ აღნიშნულ დებულებების უფრო ფართო სახეებში უნდა ვეძებოთ: დემოკრატიაში გულისხმობს ინდივიდუალურს ნიადაგზე აგებულ წარმოებას, სადაც უფრო ნორმალურსა და მტკიცე ფორმებში ვითარდება შრომის ექსპლუატაცია, ეკონომიური ჩივრა-მონობა.

ცხადია, ასეთ საზოგადოებრივ წყობილების ორგანიზაციის არაფითარი საერთო არა აქვს იმ მოძღვრებთან, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტურ საფუძველზე აგებულს მიზან-შეწინისა და თავისუფალს წარმოებას. სოციალიზმი უარყოფაა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ფორმებისა და აღიარება თავისუფალ კავშირებისა და დამოუკიდებულების. აქ უარყოფითია ყოველგვარი ფორმა ექსპლუატაციისა აღიარებისა და მონა-

როგორც ვხედავთ დემოკრატიაში და სოციალიზმის მიზნებს შორის არსებობს წინააღმდეგობა. პირველს გულისხმობს წარმოების ინდივიდუალს ფორმას, შრომის ექსპლუატაციაზე აგებულს, მეორე—წარმოების კოლექტიურს ფორმას, თავისუფალს კავშირებზედ განმტკიცებულს. მაგრამ ასეთი დაპირისპირება დემოკრატიაში და სოციალიზმის საღარ არ ხდება. საღარ კითხვა, დემოკრატიაში და სოციალიზმის სამეფოში, ინდივიდუალურიდან კოლექტივამდე გარდამავალ საშუალებებში და გზებშია.

როგორი არის მენშევიზმის წარმოდგენით ეს საშუალება? როცა სოც-დემ. კითხვას დასვამთ, თქვენ თვალწინ აგეტუზებთ მარქსის მიერ აღმოჩენილი კანონი კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელმაც ფეტიშიზმისა და სასწაულებსადმი რწმუნების ელფერი მიიღო. ს. დემოკრატიაში აზროვნებაში, რომელიც გვასწავლის, რომ დემოკრატიაში და კაპიტალისტური წარმოების განმტკიცებით, იქმნება მატერიალისტური და მორალური, ობიექტიური და სუბიექტიური ნიადაგი სოციალიზმისათვის.

კაპიტალიზმის განვითარების ამინტურ თეზისების შესახებ ჩვენ ამ ეთხმდ არ შევდვიდით არა სემბით მსჯელობაში; ჩვენთვის გარკვეული და ნათელია, რომ კაპიტალიზმის ბუნებრივი სიკვდილი ქიმერაა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა თავის წიაღში არ ატარებს ისეთს მომენტებს, რომლის წყალბობითაც შეუძლებელი ხდება ობიექტიურად მისი ეკონომიური არსებობა; ამგვარად დემოკრატიაში გზა დასახულ მიზნის საწინააღმდეგო შედეგებს გვაძლევს, მაგრამ მეორეს მხრით, კაპიტალიზმი უარყოფილია ჩვენი დროის მორალური შეგნებით და მისი არსებობა ეწინააღმდეგება ინტერესებს სოციალურ ჯგუფების, რომელთა ძალა თანდათან ძლიერდება. \*) კაპიტალიზმი არ შეიქმნება

\*) იხ. იმის შესახებ: M. ტუან-ვარაპოვიჩი: „Теоретические основы марксизма“, გვ. 215—218.

ისეთს ელემენტებს, რომელიც ობიექტიურად შესაძლებელს ხდიდეს მის ბუნებრივ სიკვდილს, მაგრამ არის მეორე ძალა, რომელსაც შეუძლია სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მის არსებობას;—ეს ძალა აღმანიანს აზროვნება და უდრეკი ნებისყოფაა. ჩვენ არ გვგონია, რომ კაპიტალიზმის პროგრესი და წინსვლებები აღმანიანს შეგნებისა და ნებისყოფის გარეშე მიმდინარეობდეს; კულტურის ერთი უმთავრესი დამრღვეველი და შემომქმედი ძალა აღმანიანის სუბიექტიურს სფეროში მარხია. ისტორიული მატერიალიზმი უძლურია შეთანხმობს სოციალური სისტემის იმანენტური კანონები სუბიექტიური მომენტების პირველბრძოლვან დირებულებასთან ისტორიის პროცესში, აქედან წარმოსდგა კრიტიკულად მოაზროვნე ჯგუფების „აქტივიზმის“ უარყოფა და აღმანიანის ნებისყოფისა და შეგნების გარეშე არსებულ ფაქტორების აღიარება სოციალიზმის გახსნორციელების საქმეში. დემოკრატიაშიც ასეთი დებულების პრაქტიკულ ფილოსოფიად ხდება. სოციალიზმ-ფედერალიზმის სინტეტიური აზროვნება შესაძლებლობას გვაძლევს აღმანიანს აქტიურ შემოქმედებას და სუბიექტიურს მომენტებს შესაფერისი ადგილი მიენიანთ კაცობრიობის მსგებლობაში. მისთვის კრიტიკულად მოაზროვნე ხალხი წარმოადგენენ ისტორიის აგენტებს და მხოლოდ ისინი ჰქმნიან დიად ისტორიულს პროცესებს. აქედან პრაქტიკული სამოქმედო გეგმა. ობიექტიურ გარემოებასა და სოციალური ძალთა განწყობილების მიხედვით რღვევა ძველი წყობილებისა და თანდათან მიშენებლობა მომავლის.—ასეთია აქტიური სოციალიზმის ძირითადი მომენტები. \*)

პირველს—დემოკრატიაში მივყავართ რეფორმისტულ გზისაკენ. მეორეს სოციალიზმს—რევოლიუციისაკენ და მე მგონია რეფორმისა და რევოლიუციის არსებითი განსხვავებით ამოიწურება არსებითი შეურთებლობა დემოკრატიაში და სოციალისტური მეთოდებისა. მაშინ, როდესაც რეფორმისმხრეება მხოლოდ გარეგნულს (нешахову) პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციის, რევოლიუცია—არღვევს. თვით სოციალური ორგანიზმის ძირითად საფუძველს სოციალური ორგანიზმი და მისი გარესქნელი კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი სხვა და სხვა მამოძრავებელი წერტილი, რომელთა შორის არ არსებობს აუცილებელი შემაერთებელი ხაზი. \*)

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ დემოკრატიაში რეფორმისმი და რევოლიუციური სოციალიზმი ორი სხვის და სხვა გვარი სახეა დიდი სოციალური მოძრაობის, და მათი ლოკატური შეერთება შეუძლებელი ხდება როგორც მათი მიზნების მიხედვით, აგრძელებითადაც. მენშევიზმი, რომელიც დემოკრატიაში და რეფორმისმის საფუძველზე აგებს თავისს მოძღვრებას და მთელს შინაარსს ამ გზით ცდილობს სოციალიზმის მიღწევას, ყალბ ნიადაგზე სდგას და არ არის გამოსახველი იმ დიადი მოძღვრებისა, რომელიც რევოლიუციური პროლეტარიატის სულსა და გულს შეადგენს... თანამედროვე დიდს მომენტს შრომის და კაპიტალს იმპერიალიზმსა და სოციალისტურ ძალთა წადილს მენშევიკებმა თავიანთი ბურჟუაზიულის სათვალეობით შეხედენ და არხებითად ვერ აუღეს ალღო მის შინაარსს... მენშევიზმის წყალობით, დიდი რევოლუციის დიდი დოზებში საჭარბოვანად ვიწრო გაცვალი დემოკრატიაში ჩარჩებში მოემწყვდა და ამით დიდი სოციალური პრობლემა საქართველოს ხალხისათვის მშრომელი ხალხისთვის კვლავ გადსახველი დარჩა... საქართველოში მუშათა მომავალ მოძრაობას ერთი მთავარი გამოხავალი ხაზი აქვს: ის უნდა იქნეს მიმართული მენშევიზმის რეპეტიციის წინააღმდეგ.

სიმ. ზუნდავი. \*) იხ. ამ საკითხების შესახებ: A. ლაბრილა: Реформа и социальный переворот. გვ. 262—268.



ცების იძულებით მობილიზაციას აჯანყების ჩასაქრობად, პროტესტს უცხადებს ბოლშევიკთა მის ტერიტორიაზედ უწყვეტ მდგომარეობაში ყოფილი მოქალაქეთა გამოყენებისათვის მშრომელ ძაგების წინააღმდეგ.

**პარიზი.** 25 ოქტომბერს პარიზში იდღესასწაულეს ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავი. სიტყვები წარმოხატვეს კაშენმა, ბარბიუსმა და სხვ. ეკრანზე აჩვენეს ხალხს რუსეთის რევოლუციის ბელადნი, რამაც დიდი ენთუზიაზმი და ინტერესი გამოიწვია.

**მოსკოვი.** უახლოეს მომავალში დადებული იქნება რუსეთთან შეთანხმება, რომლის მიზანია არის დნესტრზე კონფლიქტების მოგვარება და თავიდან აცილება. 10 ნოემბერს ტირასპოლში დაიწყება მოლაპარაკება საგარეო ხელშეკრულების შესახებ.

**ქრისტოანია.** (ნორვეგია) საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრმა რეისტადმა, ნორვეგიას და დანიას შორის გრენლანდის საკითხში მომხდარ კონფლიქტის გამო წარმოთქმულ სიტყვაში, ხანჯალის მით აღნიშნა, რომ საჭიროა ს. ს. რ. კ. შიტიბერგენზედ ნორვეგიის სუვერენიტეტობის შესახებ ხელშეკრულების დადება.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ვიცნობთ დე-იურედ საბჭოთა მთავრობასაო. „არბიტრ-ბალდეტა“ დატინებით მოითხოვს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებელ ცნობას.

**ბენი.** ჩინეთში მყოფ იაპონიის რწმუნებულისათვის გადაცემულ ნოტაში, კარახანი პროტესტს აცხადებს იაპონიის გემების მიერ ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზედ ზღვევაში ჩადენილ ძალადობის გამო, რის წინააღმდეგაც ჩინეთში პროტესტით მიმართა ინგლისს, საფრანგეთს და შვედეთს შტატებს.

კარახანის ნოტაში გამოთქმულია ს. ს. რ. კ. იმედი, რომ იაპონიის მთავრობა აუკრძალავს თავის გემებს ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზედ ზღვევაში შესვლას, საბჭოთა ხელისუფლებიდან სათანადო ნებართვის მიუღებლად, დანაშაულები მისცემს სასტიკ ზუსებისგებლობაში და აუნაზღაურებს კავშირის ძალადობით მიყენებულ ზარალს.

**ბერლინი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში, შხხდა ს. ს. რ. კ. წარმომადგენლის გერმანეთში კრისტინკისა და გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის—მალკანის შორის მოხდა სარატოვიკაციო სიგელების გაცვლა რაპალის ხელშეკრულების გაფართოების შესახებ.

**პრასის მიმოხილვა**

„კიდევ ერთი ლალატი სოც.-დემ. მხრივ“.

მოსკოვის პრავდა ზემოხსენებულის სათაურით სწერს: „საქსონიის მთავრობა ჩამოაგდო „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ შეიარაღებულმა ბანდებმა—იმ რესპუბლიკისა, რომელიც სხედან სოც.-დემოკრატები. ჰამბურგის აჯანყების შემდეგ, რომელიც დამარცხდა მემარცხენე სოც.-დემ. ლალატის გამო, გერმანიის მუშათა კლასმა კიდევ განიცადა დიდი დამარცხება საქსონიაში.

მთავარი დასკვნა, რომელიც შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ამ ამბებიდან, არის ის, რომ საჭიროა სასტიკი კრიტიკა სოც.-დემოკრატებისა, განსაკუთრებით მემარცხენეებისა, რომლებიც ნამდვილ ბარიერად ვეღონებინან მუშათა კლასს გამარჯვების გზაზედ. მუშათა კლასის პარტიას გამარჯვება შეუძლიან მოაპოვოს არა სოც.-დემ., თუნდაც მემარცხენეებთან. კავშირით, არანაირ მით წინააღმდეგ ბრძოლით. მუშათა კლასს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეუძლიან იმდენად, რამდენადაც ამ ძალა-უფლებას ხელთ იგდებს კომუნისტური პარტია, რომელსაც მიჰყავს რევოლუციონური პროლეტარიატის უმრავლესობა.

სოც.-დემოკრატია მემარჯვენე ფრთა არის, ზოლო ცენტრი—მემარცხენე.

ერთ მხარეზედ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის პრინციპები ებრძოდა და ნოსკე, მეორე მხარეზედ—ახლად სოციალურ მინიჭებული ცეცხლის ჯგუფი მემარჯვენეის ისტორიან, მემარცხენეები კი ამშვიდებენ და გადაიწყვეტენ წამს ჰყიდიან. მემარჯვენეები ითმენენ მემარცხენეებს, რადგანაც გადაწყვეტენ წამს ეს უკანასკნელნი კომუნისტების წინააღმდეგ მიდიან. ასევე მოხდა ჰამბურგსა და საქსონიაშიაც. ჩვენი პარტიის ვალაია მთელი თავისი ენერჯით გამოააშკაროს მემარცხენე სოც.-დემ. მოქმედებანი.

როდესაც მოისპობა მთი ვაგლენის უკანასკნელი ნაშთი და გაჰქრება მუშათა ზოგიერთ წრეების და კომპარტიის შუა აგებული საშუალო კედელი, მაშინ კომპარტია, როგორც ერთადერთი პარტია, რომელიც ესწრაფის ძალა-უფლებას და უზრუნველყავს პროლეტარიატის დიქტატურას, წაიყვანს მუშათა მასებს ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ“.

„გამაფრთხილებელი ომი“.

მოსკოვის გაზეთ „იზვესტიაში“ ამხ. სტეკლოვი ზემოხსენებულის სათაურით სწერს: „გერმანიის მთავრობამ საქსონიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც ამ ხანში მთელი გერმანიის მუშათა კლასის ავანგარდია, დაიწყო წინასწარი, გამაფრთხილებელი ომი. დიდი კოალიციის მთავრობა, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს ვაგლენიან სოც.-დემ. ჯგუფი, ფაქტობრივად ბურჟუაზიის მენარჯვენე, რეაქციონური ნაწილის პოლიტიკის აწარმოებს.

გერმანეთში მ უმთავრესი ძალა იბრძვის: ლიბერალური ბურჟუაზია და მასთან შეკედლებული

სოც.-დემოკრატია, რეაქციონური-მონარქიული შავ-რაზმული ბურჟუაზია და რევოლუციონური პროლეტარიატი. ეს სამი დახმარებით წინასწარობა იცავენ ერთმანეთში. ამხში თანამედროვე გერმანიის ტრაგედია. ამ ჟამად არც ერთ ძალას არ შეუძლიან გადაწყვეტი გამარჯვების მოპოება. სახელმწიფო იშლება, ირღვევა, ღვება ფესვებით.

ერთადერთი მასიური პარტია გერმანეთში არის კომუნისტური პარტია, რომლის ვაგლენაც დიდი დიდი იზრდება. მაგრამ, ამჟამად დროს სოც.-დემოკრატია კიდევ შესწევს ძალა, რომ მოაღწეოს მისი მისწრაფება და გადაწყვეტ წამს შეაჩეროს პროლეტარულ ავანგარდის გამოსვლები. კომუნისტური პარტიის შეუწყვეტელმა ზრდამ დიდი საშიშროება დაჰპადა ბურჟუაზიულ ბანაკში. ამისათვის შტრეზემანის მთავრობამ პროლეტარიატს წინასწარი ომი გამოუცხადა, რათა დასწროს და იერიში მიიტანოს მასზედ, როდესაც ჯერ კიდევ არ მოუწრია მას შეტევაზე ვადასვლისათვის, საჭირო ძალების თავის მოყრა და მოწესრიგება.

ამის შედეგად ვადასვლის უფრო ადრე, ვიდრე ეს ვადასვლა პროლეტარიატისათვის. მაგრამ რითაც არ უნდა გათავდეს ბრძოლა, ერთი აშკარაა: ამ ბრძოლიდან პროლეტარიატი ვადასვლა უფრო ძლიერი, თუნდაც მისმა ავანგარდმა დროებითი დამარცხება განიცადა. სოციალ-დემოკრატია კი საბოლოოდ შერცხება მემარჯვენე ფრთის მოლატური მოქმედებისა და მემარცხენე ფრთის სუსტი ზედვაგლენის გამო. ეს ბრძოლა დანახებებს მუშებს, რომ, ვარდა კომუნისტური პარტიისა, მათ არა აქვთ სხვა იმედი და დასაყრდნობი. მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით შესძლებს იგი თავის განთავისუფლებას“.

**ახალი ამბები**

— **წარმომადგენლის დანიშნა.** ქალ. აღმასკომის პრეზიდენტის დადგენილებით თვით მშრომელთა კავშირის სარეორგანიზაციო კომისიაში დანიშნა აღმასკომის წარმომადგენლად ამხ. ვარძიელი და მიხა ჩოღრიშვილი.

— **სახოფლო-სამეურნეო ვადასახადის შემცირების შესახებ.** ქ. აღმასკომის მიერ პრეზიდენტის დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო ვადასახადის შემცირების შესახებ წილკანის რაიონში. იგზავნება კომისია შეგდგევი შემადგენლობით: თავმჯდომარე: ამხ. თაქთაქიშვილი, წევრებათ: იშხნელი და ჯავახიშვილი.

— **თემის აღმასკომის გაუქმება.** ქ. აზ მასკომის პრეზიდენტმა დაადგინა გაუქმებული იქნეს თემის აღმასკომები და მის ნაცვლად დაარსდეს რაიონული აღმასკომი. ეს დადგენილება დადასტურებული უნდა იქნეს აღმასკომის სხდომაზე.

— **ფ. სამბოს ახალი არჩევნები.** ქ. აღმასკომის დადგენილება ტფ. სამბოს არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიაში არჩეული იქნა ამხ. სუბიშვილი, ივანოვ-კაკასკი, ყურულაშვილი, მესხი და ერთი სამხედრო უწყების წარმომადგენელი.

— **სოციალურ უზრუნველყოფის საქმის ვაშუფრთხილებლად.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა თავის საშუალებებიდან ყოველთვიურად გაიოს 2069 მან. ჩერვონცებით სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გასაუმჯობესებლად. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ვადასაცემად.

— **საქალაქ-სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა ყრილობა** უახლოეს მომავალში ტფილისში მოწვეული იქნება საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტ-წარმომადგენელთა ყრილობა.

— **დახმარება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის.** ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს დახმარებლად 1 სექტემბრამდის გაცემულია 694000 მან. ჩერვონცებით.

— **შრომის ბირჟა.** 31 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრცედა გამოცხადდა 480 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 8 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე 50 უმუშევარი.

— **ექსპონატების დაბრუნება გამოფენიდან.** 10 ოქტომბერს რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილი საქართველოს პავილიონი დაიხურა და შეუდგენენ ექსპონატების (ნიმუშების) დაბრუნებას.

— **სახოფლო მეურნეობისა და ეკონომიკის ბიურო.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატთან დაარსდა სასოფლო-მეურნეობის და ეკონომიკის ბიურო, რომელშიაც შედიან საუფეთესო სპეციალისტები ამ დარგში. ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას.

— **ავრო-დახმარების მუშათა ყრილობა.** 15 ნოემბერს მოწვეულია ავრო-დახმარების დარგში მომუშავეთა ყრილობა. ყრილობა შესდგება მიწ-მოქ. კომისარიატის შენობაში და გაგრძელდება 7 დღე.

— **გამოცდები.** 28 ოქტომბრიდან დაიწყო ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში წერა-კითხვის უკოდინართა სალიკვიდაციო გამოცდები. გამოცდებისათვის პროვინციებში დაგზავნილია ინსტრუქტორები.

— **ზავთა კბილის ავადმყოფობა.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობის თანახმად ბავთა კბილით ავადმყოფობა ვავრცელებულია 80 პროც. ქუთაისში. ვაისხის სკოლის ბავშებისათვის კბილის სექციო ამბულატორია.

**ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო კონფერენცია**

ოქტომ. 28-ს, საღამოს 7 საათზე სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან 100-მდე დელეგატი.

რილობას ხსნის სრ. საქ. ყოფ. ახალ. მარქ. საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე ალ. ცინცაძე, რომელმაც მიულოცა ყრილობას ბიუროს სახელით, აღნიშნა ყრილობის დიდი მნიშვნელობა რევოლუციის დაცვის საქმეში და მოუწოდა ნაყოფიერი მუშაობა პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცებისაკენ კომუნისტურის დროის ქვეშ.

ამის შემდეგ კონფერენციაში აირჩია თავმჯდომარე ამხ. ალ. ცინცაძე, მის ამხანაგებად პეტრე მეგრელიშვილი და აბ. ლომთათიძე, მდივნებად ა. პაიჭაძე, და გ. გიორგაძე.

კონფერენციამ დაამტკიცა დღიური წესრიგი. 1) სერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივები, მომხსენებელი პ. მეგრელიშვილი. 2) პროლეტარიატის დიქტატურა თუ პარლამენტარული დემოკრატია—მომხსენებელი ალ. ცინცაძე. 3) გროვული საკითხი, მომხსენებელი გ. გიორგაძე. 4) საბჭოთა აღმშენებლობა. მომხსენებელი ა. კალაძე. 5) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების თვითლიკვიდაცია 6) სრ. საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ყრილობის შედეგები მომხსენებელი არ. რუხაძე. 7) მიმდინარე საკითხები და 8) დეკლარაცია.

ამის შემდეგ კონფერენციას ესალმებთან საქავშირო საინიციატივო ბიუროს სახელით ტ. შენგელია და საქართ. კომკავშირის ახალგაზრდათა სახელით გ. დედუარიანი, რომელიც ახასიათებს რადიკალურ მომენტის სირთულეს მოუწოდებს ჩატეხილ ხილის გამოტეხებით მსოფლიო კავშირების განადგურებისკენ.

მისალმების შემდეგ პ. მეგრელიშვილი აქეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოხსენების დროს შემოიღის მიხ. ცხაკაია, რომელიც ესალმება საქ. კომპარტიის და მთავრობის სახელით კონფერენციას, რომელიც მას შეუწყვეტელ ტაშით აჯილდოვებს.

მომხსენებელს დელეგატები შეკითხვებს აძლევენ, რაზედაც მეგრელიშვილი შესაფერ პასუხს აძლევს. ამის შემდეგ სხდომა იხურება.

— **აბანოების მოწყობა პროვინციაში.** პროვინციებში საინიციატივო მიზნით აბანოების მოწყობა მინდობილი აქვს აღმასკომს. აბანოების მოწყობა უკვე დაწყებულია ხონში, ცხინვალში, თელავში, გორში და ლიუქენბურგში.

— **ახალი წყალსადენი.** ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით სოფ. წილკანში გაიხსნა წყალსადენი, რომელიც მცხოვრებთ უხვად აწვდის წყალს.

— **მშრომელთა განთავისუფლება ბაქის ვადასახადისგან.** საქ. სახ. კომისარიატს საბჭომ დაადგინა: განთავისუფლოს მშრომელი ნაწილები ბაქის ვადასახადისგან სასამართლოში საჩივრების შეტანის დროს.

— **ოქტომბრის დღესასწაული სოფლებში.** ოქტომბრის დღესასწაულის დღეს ა. კ. კომისარიატი თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფლებში აწყობს საღამოებს, უფასო კონცერტებს და მიტინგებს.

ორშაბათს ოქტომბრის 28-ს დილით, კოალიტე კრება გაიხსნა აღმასკომის დარბაზში; უახლოესზე წაკითხულ იქნა სოც. დემ. კომისიის რეზიუმე: პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია პროლაშენტი, რომელსაც მომხსენებელი ვრცლად ეხება, ამტკიცებს აქტუალურ რევოლუციონურ მარქსიზმის გაგებით პროლეტარულ დიქტატურის უპირატესობას რევოლუციონურ პროლეტარიატის ხელისუფლების განსამტკიცებლად, რასაც ხელს უშლის პარლამენტარული სისტემა ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციაში ყოფნის გამო. მის მოხსენებას მრავალი შეკითხვები მოყვა, რომელსაც საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა საკმაო დასაბუთებული პასუხი გასცა.

ამ მოხსენების შემდეგ, სრულიად რუსეთის საკავშირო სოც.-დემოკ. ყრილობის მომწვევე საინიციატივო ბიუროს წევრმა ამხ. არ. რუხაძემ გააკეთა მოხსენება საკავშირო მასშტაბში წარმოებული მუშაობის შესახებ და დელეგატების შეკითხვების შემდეგ ყრილობამ მოისმინა საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ მოხსენება.

მესამე დღეს ყრილობამ მოისმინა ამხ. გიორგაძის მოხსენება პროლეტარული კითხვის გარშემო, რომელსაც მოყვა აუარებელი შეკითხვები და განმარტებანი, ყრილობამ ეს მოხსენება გულდამსით მოისმინა და მიიწონა.

საღამოს კრებაზე ამხ. სიხარულიძემ ახალგაზრდა მარქსისტთა თვითლიკვიდაციის შესახებ გააკეთა მოხსენება, ამის შემდეგ ყრილობაზე გააკეთა მოხსენება სამანდატო კომისიის წევრმა, რომელიც გამოიჩვენა, რომ ყრილობას დაესწრო 101 დელეგატი 5025 ამომრჩევლთაგან.

ამის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა რეზოლუციები და გაუქმა ორგანიზაცია.

ყრილობის დამთავრების გამო მისასალმებელი სიტყვა სოქვეს ახალგაზრდა კომკავშირის და III კომიტეტის აღმასკომის წევრმა პეტროვსკიმ, საკავშირო ბიუროს წევრმა არ. რუხაძემ, საქ. კომკავშირის მდივანმა გ. დედუარიანმა და ახალგაზრდათა საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ალ. ცინცაძემ, რის შემდეგ ყრილობა დახურულად გამოცხადდა.

სენება: 1) მათემატიკა ოთხწლედში, 2) ა. ბალაბუგის აზრი კრასიკოვის ახალ წიგნზე: „გამარტივებული ხელსაწყო ფიზიკაში“. 3) შვიდ და ცხრა წლედში მათემატიკა-ფიზიკის პროგრამის შემუშავებულ კომისიის არჩევნები.

8 ნოემბერს, საღამოს 7 ს. ამხ. პეტრაშევსკის მოხსენება: ბუნების მეტყველება და გეოგრაფიის სწავლების ახალი მეთოდები და მისი პრაქტიკულად გამოყენება მოსკოვისა და პეტროგრადში.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.	
ჩერვონცი	95,000 მ.
სტერლინგი იფექ.	89,000 "
ჩეკი.	89,000 "
დოლარი იფექ.	20,500 "
ჩეკი.	19,000 "
ოსმალური ლირა	10,500 "
საბჭოთა ფული	13500 "

**პარტიანი**

კვირას, ნოემბრის ოთხს საღამოს ოთხ-საათზე სოფ. კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) ამხ. ლადო მჭედლიშვილის ბინაზე შესდგება კაკაბეთის მემარცხ. სოც. ფედერალისტთა სარევიო. პარტიის კრება. ახარჩევია დელეგატი 7 ნოემბრის კონფერენციისათვის. კრებას დაესწრება ტფილისიდან ჩამოსული მთავარ კომიტეტის წარმომადგენელი.

პარასკევს, ნოემბრის 2 ს, საღამოს 6 საათზე შესდგება სხდომა ტფ. მე-2-ე სარაიონო კომიტეტის. გასარჩევია ყრილობის საკითხები. წევრთა დასწრება საავადლებლოა.

მდივანი.

**საგაგომო სახლი ს. ს. რ. კ. გამოშენაზე**

(საკუთარ კორეზონდენტთან \*)

VI

უკანასკნელ წერილში ჩვენ ვებებოდით საკითხს რუსეთის სახ. განათლების კომისარიატის და განათლების მუშაკთა კავშირის პავილიონების სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ, მაგრამ იმ წერილში არაფერი გვქონდა ნათქვამი საბავშო სახლებზე, რომელიც არსებობდა ამ საკითხის ორგანიულ ნაწილს შეადგენდა. რამდენადაც საბავშო სახლს ცალკე შენობა უჭირავს გამოფენაზე და შესაფერისად მდიდარი ექსპონატებიც მოეპოვება იმდენად, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული თვალის ერთი გზდავლებით გაფენისათვის იგი.

პავილიონის შენობას სრულიად გამოყოფილი ადგილი უჭირავს. აგებულია ცაქის საბავშო კომისიის ინიციატივით. პავილიონის გარეგანი ეფექტი სილაშის შთაბეჭდილებას სტოვებს. შენობის წინ საკმაო სივრცის ეზოა, რომელიც ყრმა პიონერთა ტროლის კარგებითა დაფარულია. დრო გამოშენებით ამ ეზოში იმართება ფიზ-კულტურის მიმდევარ პიონერთა ვარჯიშობა. შენობას ორი სართული უჭირავს.

\*) წერილი დაგვიანებით მივიღეთ. ს. ს. რ. კ. გამოფენა დახურულია. რედ.



რავს. ექსპონატების დემონსტრაცია შესავლიდანვე იწყება.

უპირველეს ყოვლისა გამოფენილია კომპლექსური მეთოდი ცალკე განყოფილებით. განყოფილება შეიცავს ყველა იმ მასალას, განსაკუთრებით თვალსაჩინოების დარგებიდან, რომელიც კომპლექსური მეთოდის სპეციალურ ბუნებას შეეფერება.

პავლიონის შუა-აღრე მოფენილია სხვა და სხვა სკოლათა მოწაფეების თვითმოქმედების ნაყოფით. ექსპონატები დაყოფილია სასწავლო საგნების განყოფილებებით. ყველა მათგანს (საგანს) თავის ადგილი უჭირავს და შეიცავს იმ მასალას აქ წარმოდგენილი თვალსაჩინოების საგნებიდან, რომელსაც მოითხოვს ამა თუ იმ საგნის ინტენსიური-აქტიურობით გავლა.

კვლევის მარცხენა კუთხე დაქვეითდა პედაგოგიურ-პედოლოგიური დაწესებულების მიერ ექსპონატების ღირსების მიხედვით აქ ირჩევა სახელწოდებით მდიდარი-პედოლოგიური ინსტიტუტი რამელსა-სა წარმოდგენილი აქვს მეტად საინტერესო გამოკვლევები დეფექტიან ბავშვების პსიქიური და გონებრივი აპარატის ფუნქციონალიზაციის შესახებ.

ყველაფერი თვალსაჩინოდა შესრულებული და დიდ ინტერესს იწვევს. ფსიქოლოგიური კამინეტი ახდენს მეტრიკულ დემონსტრაციას გარკვეული კოლექციისას, რომლის მიხედვითაც შეისწავლება მუნჯი და სწორ მეტყველების უნარ მოკლებულ ბავშვთა ინტელექტუალური ასაკი (ექსპერიმენტალურ პედაგოგიაში ი. ა.-დ წოდებული. გ. თ.) კოლექცია შედგენილია Herderschée-ს სისტემის მიხედვით, შეტარებულია მიერ. აღებულია ყველა ასაკისათვის ცალკე. პედოლოგიური კამინეტი შედარებით ღარიბია. ღირსშესანიშნავია ნეჩაევის ტაქსიტოსკოპი მოწაფის მესხიერების და წარმოდგენათა კომპლექსის გამოსარკვევად. სამწუხაროდ ამ აპარატს არა ყავს მუდმივი თანხმობები ხელმძღვანელი, რომ უფრო შესაფერისად იქნეს გამოყენებული ექსპერიმენტებისათვის.

ანტროპომეტრიული კამინეტი იძლევა დეტალურ ცნობებს ზოგიერთ მოწაფეთა ატავისტური ინსტიტუტების და ფიზიკური ცვალებადობის გათვალისწინებით. გაზომვის გვერდებზე არ შეიძლება ამ კამინეტების რთული სქემების წარმოდგენა, თორემ უსათუოდ მეტად საინტერესო მასალა იქნებოდა, ყველა მასწავლებელთათვის, ვისაც არ უნახავს იგი, შემდეგ სახელმძღვანელოდ.

მოსკოვის მოწაფეთა შორის ფიზიკური კულტურის გავრცელების შესახებ, საქირო ცნობებს, შესაფერისი ილუსტრაციებით იძლევა, ე. წ. ფიზიკულტურის კუთხე. საინფორმაციო უნდა აღინიშნოს, რომ აქ ფიზიკური კულტურის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. ზოგიერთ სკოლებში შემოღებულია ფიზიკური აღზრდის ძველი სპარტის წესები.

დიდი ადგილი უჭირავს მოსკოვის საბავშვო თეატრის შემოქმედებას. ამ თეატრის გამოფენათა დათვალიერებით ცხადად შეიძლება დარწმუნება, თუ როგორი მავსიმალობითაა გამართლებული საბავშვო თეატრის არსებობა და რა უნდა შეადგენდეს მის პირდაპირ ამოცანას. აქ განსაკუთრებით ყურადღასღირებელია ბავშვთა მფრთხილობა და ზღაპართა ილუსტრაცია შესაფერისი სურათებში. ამ მხრივი შესრულებით საინტერესოა ზღაპარ „შახარაზადას“ გადმოცემა.

პაწაწების მთელი სახატვრო ნიჭი და შემოქმედები დიდ შედეგებად სამხატვრო სახელოსნოში. ამ სახელოსნოში მოწაფე ექსპონატებს განცვიფრებული მოყვას მხილველი: ნუ თუ ამდენის შექმნის უნარი შესწევს პატარა ბავშვს და ჩვენ კი დღემდე არ შეგვიძლია მისი გამოხმევის-გაშლის სწორი საშუალებები შევექმნათ.

ცალკე კიდურში მოთავსებულია ხელგარჯილობის გავრცელებზე დამუშავებული მასალები სხვა და სხვა სკოლის და ასაკის ბავშვების მიერ.

არიან განყოფილებანი: ბიოლოგიური, ქიმიური, სადაც სხვათა შორის არის მენდელეევის პერიოდული სისტემა ელემენტებისა, საზოგადოებრიობა (обществоведение) და თანამედროვეობა მიმდარ მასალებშია მოცემული.

ლაშაზია პლასტიკის ხელოვნების კუთხე. მშვენიერადაა შეგნებული, თუ როგორ ხდება ხელოვნების პირველყოფილი კულტურის და ძველი აღმოსავლეთის ისტორიების ზოგიერთი ეპოქების ილუსტრაცია ეპოქისავე თანამედროვე სახეებში.

ამ გამოფენაზე ახალი ინტერესის მატარებელია ერთი უახლოესი მომენტი. ეს არის ენის სწავლების ელექტროფიზიოლოგია (კონკრეტულად აქ წარმოდგენილია Электренизация Русского языка) ამ მეთოდის შესახებ ლიტერატურა ან სრულიად არ არსებობს და თუ მოიპოვება რაიმე ისე იშვიათია რომ ფართო წრეებისათვის იგი მისულწევლია.

ენის ელექტროფიზიოლოგია ამ პავილონში მეტად მარტად ფორმებშია წარმოდგენილი, როდესაც არ სებათად ის არც ისე ადვილად შესასრულებელია. რაც უფრო საინტერესოა ენის ელექტროფიზიოლოგიდან: ანბანის გავლა და მარცვლების შედგენა ბგერებიდან, ამ გამოფენაზე სამწუხაროდ გამოტოვებულია. აქ აღებულია მხოლოდ მეორე მომენტი: წინადადებების შედგენა და სიტყვების გრამატიკული (მორფოლოგიური) გარჩევა. დაახლოებით ეს შემდეგნაირად ხდება: აღებულია თითო ტილო დაფის მსგავსად. ტილოზე სწერია წინადადებები, რომლის სიტყვები ერთი მეორისაგან დაცილებულია წერტილის მსგავსი ელექტრონის „კნობებით“. მოწაფეს ეძლევა ამოცანა მაგ. წინადადების განსაზღვრული სიტყვა რომელ სამეტყველო ნაწილს ეკუთვნის. მოწაფეს ხელში უჭირავს ელექტრონის ორი მავთული წერილი „მტკსესლებით“. მავთულში გაყვანილია ელექტრონის ძალა. ტილოზე დაწერილი წინადადებების გვერდით სწერია სამეტყველო ნაწილები (სულ 9) ყველა მათგანსაც აქვთ ელექტრონის „კნობები“. ბავში იღებს ერთ სიტყვას, რომლის გრამ. გარჩევაც სურს და უერთებს ამ სიტყვის „კნობას“ ერთ მავთულს. სიტყვა, უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის განათდება უკან გვერდიდან. მეორე მავთული მიაქვს და უერთებს იმ სამეტყველო ნაწილს, რომელსაც, მოწაფის აზრით, აღნიშნული სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს. თუ სწორად გამოიწყო უკანასკნელთან ელექტრონის შეერთების დროს ელექტრონისავე ზარი გარაკუნდება. თუ ზარი არ დაირეკა ეს იმას ნიშნავს, რომ ამოცანა არ არის სწორად გადაჭრილი და იწყებს კვლავ.

მათემატიკური მავალითების გამოანგარიშების დროსაც—უფრო ფართოდ იყენებენ ელექტრონის—კინოს.

ენის ელექტროფიზიოლოგია ახალი საკითხი და სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს. ამავე პავილონში წარმოდგენილია პეტროვ-გრაღის საგუბერნიო განათლ. განყოფილების და სხვა ადგილების შრომის სკოლათა შემონახველნი.

ყველაფერი ძვირფასია და მაღალი ღირსების. ეს საბავშვო პავილონი, სამყაროა ბავშვის ბუნების.

გ. თავზარაშვილი.

მოსკოვი ოქტომბრის 18.

### სახალხო სახლი. შალიკაშვილის „უნიდაგონი“

სახალხო სახლში, კვირის დაიდგა შალიკაშვილის ცნობილი პიესა „უნიდაგონი“, რომლის შინაარსიც საზოგადოებამ კარგად იცის.

ეს პიესა რეჟისორ ბარველის ხელში ლამაზად განსახიერდა, შეიძლება მხოლოდ მიზანსცენების გადახალისება უკეთესად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თავიშვილი ალექსანდრე როლიში. მას ენიჭება სცენის ხერხი და მისი როლები ყოველთვის მიზან მიღწეულია: ხმა, მოძრაობა და კოსტუმულიცია ამტკველებს როლის სრულ განსახიერებას. რომანიშვილი—გდებუაქე კარგი იყო და დამთავრებული სახე მოგვცა დაროსი. ქ-ნი ასათიანიც ნიჭიერად და მხატვრულ ასრულებდა დაქისრებულ როლს, ხოლო მარგველაშვილი, რომელიც ორი სამი წელიწადი არ გვინახავს ტფილისის სცენაზე, უგარბობლად ასრულებდა თავის როლს, მეტადრე უკანასკნელ მოქმედებაში.

კალანდარიშვილი, როგორც მანქანი ისე იდგა სცენაზე და უშინაარსო სუფიორის სიტყვებს იმეორებდა, საქიროა როლის შეთვისება და მეტი მოძრაობა გრ. ლორთქიფანიძე მიუხედავად როლის სიპატარავისა კარგი იყო, ხოლო ყოჩიშვილი, თავდგირიძე, კინიშვილი, ბარველი და ბარათაშვილი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი ნაკლები ესწრაბა. საშინელი ხმაურობაა, ადმინისტრაციამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

განი.

სრულიად საქართველოს მსახიობთა კულტსექციამ დაადგინა აღნიშნოს მომავალი ორი იანვარი განსაკუთრებული პროგრამით.

რესპუბლიკის ყველა თეატრებში ამ დღე უნდა დაიდგას განსაკუთრებული წარმოდგენები, რომელთა შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა სექციის.

2 იანვარს გამოვა საგანგებო ჟურნალი: სახელწოდებით „2 იანვარი“, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალწერილები სასცენო ხელოვნების კვლევაზე.

### შედეგების მოქმედება და განმარტება

#### დადგენილება № 31.

ს. ს. ს. განათლების კომისარიატისა რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შემოღების შესახებ 1923—24 სამოსწავლო წელში.

შესაცვლელად 1 მუხ. დადგენილებისა, რომელიც გამოტანილი იყო 1922 წლ. 15 სექტემბერს, რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შესახებ, ვადგენ შემდეგს:

მომდინარე 1923—24 სამოსწავლო წელში შემოღებულ იქნეს სწავლის ფულის გადასახადი უმაღლეს (უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში), და საშუალო სასწავლებლებში (ყველა ტენიკუმში, გარდა პედაგოგიურისა, საერთო განათლების კურსებზე და აგრეთვე მთლიან შრომის სკოლების მე-8 და მე-9 კლასებში). შემდეგი რაოდენობით:

- 1) უმაღლეს სასწავლებლებში 40 ჩრგ. მან. წელიწადში (ხოლო ნახევარ წელიწადში 20 ჩრგ. მან.) და 2) საშუალო სასწავლებლებში 20 ჩრგ. მან. წელიწადში (ხოლო ნახევარ წელიწადში 10 ჩრგ. მან.).

ჩეროვნიცი მიწეთის რაოდენობა გამოიანგარიშება სწავლის ფულის შეტანის დღის ოფიციალურად გამოცხადებულ კურსით. სწავლის ფულის გადასახადისაგან როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სასწავლებლებში, თავისუფლდება:

- ა) დამსახურებულ რევოლუციონერთა შვილები.
- ბ) სამოქალაქო ომში აქტიურად მონაწილეობის მიზეზითა შვილები.
- გ) უღარიბეს გლეხთა შვილები ადგილობრივ სამხარო აღმასკომების დადასტურების მიხედვით.
- დ) წითელ არმიელთა, უფშემადგენლობის, აღშემადგენლობის და აგრეთვე წითელ არმიის პოლიტმუშაკთა შვილები.
- ე) წითელ არმიის და ფლოტის დაპირილ-დასახიერებულთა შვილები და შრომის ინვალიდების შვილები.
- ვ) ყველა ტიპის და საფეხურის სასკოლო მუშაკნი და მათი შვილები.
- თ) პროფკავშირების წევრნი და მათი შვილები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი თვითონ ხელფასის სწორი ჯამი არ აღემატება ოცდახუთ (25) საქონლის მან.
- ი) სახელმწიფო პენსიონერთა შვილები.

სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებებს, რომელთაც დარ

ნების დარგებიდან და სუბიექტური წესის მოღვაწეობისა. ჟურნალის რედაქტორობა დაეწავა სექციის თავმჯდომარეს აკაკი ფალავას.

მსახიობთა კულტსექციის საბჭო სთხოვს კავშირის ყველა წევრთა მოწოდონ შესაფერისი მასალები და ცნობები ადგილობრივ სასცენო საქმის მდგომარეობის შესახებ „2 იანვარს“ ჟურნალისათვის შემდეგი მისამართით: რუსთაველის პრ. № 21. სათეატრო ინსტიტუტი აკაკი ფალავას (ჟურნალისათვის).

წარმოდგენა მუშებისათვის.

შაბათს 3 ნოემბერს რუსთაველის თეატრში მუშებისათვის წარმოდგენილი იქნება შ. დადიანის პიესა: „მუშინდელი“ ქორელის რეჟისორობით.

ქართულ მხატვრობის გამოფენა.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში საქართველოს მხატვართა კავშირი დიდუბის ტაძარში გამართავს ქართველ მხატვართა ნაწარმოების გამოფენას.

ახალი მწერლობის კორპორაცია. ახალ მწერლობის კორპორაციამ თავის თავმჯდომარედ აირჩია გრ. რომაქიძე ახლო ხანში გამოვა „ახალ მწერლობის“ კორპორაციის ყოველ კვირეული გაზეთი.

მხატვართა სადამოები. 7 ნოემბერს ხელოვნათა სასახლეში გაიხსნება „მხატვართა სადამოების“ სეზონი.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ივერია“ ახლო ხანში გამოვა სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული ორგანო „ივერია“.

ახალი ჟურნალი „დროშა“. 1 ნოემბრიდან ტფილისში გამოვა ამხ. მიხა კახიანის რედაქტორობით ლიტერატურული მხატვრული ჟურნალი „დროშა“.

### რევოლუციონური ახალგაზრდობის გზა \*

მე-20 საუკუნეიდან იწყება ქართველი მშრომელი ხალხის გაღვივების ხანა; ამ პერიოდშიდან მშრომელი ხალხი იწყებს გააფთრებულ ბრძოლას თავის უფლებების მოსაპოვებლად.

პირველი პოლიტიკური პარტია, რომელმაც იწყო მუშაობა საქართველოში იყო სოციალ დემოკრატიული პარტია; მან დარაზმა ქართველი მუშები, რომელსაც სურდა თვითმპყრობლობის ჩამოგდება და დემოკრატიზმით, პარლამენტის საშუალებით სოციალიზმის განხორციელება.

საქართველოს მშრომელი ხალხი მეტს მოითხოვდა, ხალხს მიწა უნდოდა; ხალხს თვითმართებლობა სწყუროდა, არც ერთის და არც მეორის მიცემა მომქმედ პარტიას არ შეეძლო, ამიტომ საქირო იყო ახალი რევოლუციონური პარტიის შექმნა, რომელიც ყველა საკითხებს გადაჭრიდა, ისე როგორც ეს თვით რევოლუციონერ ხალხს უნდოდა.

1903 წელში ჩვენგან შორს საფრანგეთში იწყო მუშაობა ახალმა პოლიტიკურმა ჯგუფმა „საქართველო“-მ, რომელმაც პირველად თავის დროშას წააწერა „საქართველო და რევოლუცია“.

სიტყვა „საქართველოს“ გაგონებისთანავე ყველა ჯგუფის მიმართულების ელემენტებში იწყეს მის ირგვლივ მუშაობა. საქართველოს ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობაც ამ პარტიას გააყვია. საბოლოოდ გაწყენდა ამ პარტიამ განიცადა ამ სამი წლის წინეთ, როდესაც სოციალიზმის განხორციელების საკითხი პრაქტიკულად დაისვა.

\*) წერილი „ახალგაზრდობა ბმისათვის“ იყო დაწერილი. უადგილობის გამო დღეს იბეჭდება.

ნამდვილი რევოლუციონერი მშრომელი ახალგაზრდობა გააყვია თავის პარტიას, დაიწყო მხურვალე მუშაობა ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა დიდი პოლიტიკური გარდატეხა. საერთაშორისო ომმა წამოიჭრა ორი ბუმბერაზი ძალა, რომლებიც ერთმანეთს უნდა დაეჯახოს.

პირველი არის წითელი კომუნისმი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირებსა სახით, რომელსაც უჭირავს წითელი დროშა და მეორე შავი ძალა ფაშისმი; პირველში თავი მოიყარა საუკეთესო რევოლუციონერებმა და მეორეში კი შავნიცმა ძალებმა, რომლებიც ვერ შერიგებინან წითელ კომუნისმს.

დღეს, როდესაც მთელი ევროპის ბურჟუაზია ირაზმება ფაშისმის დროშის ირგვლივ, საქირო არის შექმნა მუშათა ერთიანი ფრონტის. აქ საკითხი იმადგება—რა უნდა ჰქნას საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ახალგაზრდობამ?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი გამოკვეთულია, ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა შეავსოს წითელი კომუნის რიგები.

ოქტომბრის რევოლუციის ექვსი წლის თავზე ჩვენ უნდა დავანახოთ, შავ რეაქციონერებს, ფაშისტებს და ყველა იმათ, ვინც ჩვენთან არ არიან, რომ წითელი კომუნისმის რიგები დღითი დღე მართლმად და ირახმება.

საქირო არის ამ საკითხის სათანადო გადაჭრა პარტიის ყრილობაზე. დროა გაერთიანების და ერთიანი ბრძოლის.

გაგო ახლანიშვილი.

გაზეთი „ტრიზუნი“ ნომბრის 1-დან ეღირება: პროფკავშირთა წევრებისათვის თვეურად . . . . . 7.000.000 მ. დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 9.000.000 „ (ცალკე ნომერი . . . . . 500.000 „